ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3855849

ნომერი: AR1580835

თარიღი : 27.02.2018

გაცემის თარიღი : 12.03.2018

გაცნობის თარიღი : 12.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პატარიძე , მიმდებარედ (ნაკვეთი 24/010); ქალაქი თბილისი , ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი IV , კვარტალი II , -ის პატარიძის ქუჩის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , ქუჩა პატარიძე , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- shalva cercvadze პ/ნ 01012000622
- 1 mkr,k 13,bina 80

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 14 ნოემბრის №3680518 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 27 თებერვალს №AR1580835 განცხადებით მომართეს შალვა ცერცვაძემ და პაატა აბესაძემ და მოითხოვეს ამავე სამსახურის 2017 წლის 14 ნოემბრის №3680518 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 14 ნოემბრის №3680518 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 24/010)/ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის IV მიკრო/რაიონი, II კვარტლის, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ/ქალაქი თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ, შპს ,,მანუ"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N01.17.07.024.060), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 14 ნოემბრიდან 2019 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით.
განმცხადებლების განმარტებით, სამსახურის 2017 წლის 14 ნოემბრის №3680518 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში გაპარულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, კომერციული ფართობი 376.48 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 376.23 კვ.მ. შესაბამისად შეიცვლება საერთო ფართობის მაჩვენებელი და 5384.32 კვ.მ-ის ნაცვლად იქნება - 5384.07 კვ.მ. აქედან გამომდინარე, ითხოვს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გასწორებას.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია სამსახურის 2017 წლის 14 ნოემბრის №3680518 ბრძანებასთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 14 ნოემბრის №3680518 ბრძანებაში და ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი: 5384.07 კვ.მ, კომერციული ფართობი: 376.23 კვ.მ, სამსახურის 2017 წლის 14 ნოემბრის №3680518 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 14 ნოემბრის №3680518 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.